EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი no. 2228/10
გულნარა გამცემლიძე და სხვები
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), პალატის 2014 წლის პირველი აპრილის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

ინეტა ზიემელე, *თავმჯდომარე*
პაივი ჰირველა,
ლედი ბიანკუ,
ნონა წოწორია,
პაულ მაჰონეი,
კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი,
ფარის ვეჰაბოვიჩი,*მოსამართლეები,*
და ფატოს არაკი,*სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო რა 2010 წლის 8 იანვარს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა მოპასუხე მთავრობის მიერ 2013 წლის 10 სექტემბერს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც იგი სასამართლოს სთხოვდა წინამდებარე საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვასა და მომჩივნების პასუხი აღნიშნულ დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანთა სია დანართშია წარმოდგენილი.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

2. პირველი და მეორე მომჩივნები არიან, შესაბამისად, დედა და ქვრივი 1976 წელს დაბადებული ბ–ნი გიორგი გამცემლიძის, რომელიც მოკლული იქნა პოლიციის დევნის დროს 2008 წლის 8 მაისს (იხ. მე-5 პარაგრაფი ქვემოთ), ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე მომჩივნები არიან მისი შვილები. ყველა საქართველოს მოქალაქეა, ცხოვრობენ თბილისში და სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ–ნი ნათია კაციტაძე და ქ–ნი თამარ აბაზაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წევრები.

3. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი ბ–ნი ლევან მესხორაძე, იუსტიციის სამინისტროდან.

4. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

5. 2008 წლის 8 მაისს, დაახლოებით ღამის 1:20 საათზე, საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი ვ.ა. და ლ.ჯ., რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თბილისისა და მცხეთა–მთიანეთის დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ, დაედევნენ ავტომანქანას, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თბილისის ცენტრალურ უბანში. რაღაც მომენტში, მანქანა ბორდიურის ქვებს მიეჯახა. მძღოლი, ბ–ნი გიორგი გამცემლიძე გადმოვიდა და გაქცევა სცადა მიმდებარე ავტოფარეხის სახურავზე აძრომით. საპატრულო პოლიციის ერთ–ერთი თანამშრომელი ვ.ა., გაეკიდა მას. თანამშრომელმა დევნის დროს სამსახურებრივი პისტოლეტი ამოიღო და ესროლა, რითაც სასიკვდილოდ დაჭრა ბატონი გამცემლიძე კისრის უკანა არეში. გამცემლიძე ადგილზე გარდაიცვალა სანამ თანამშრომლების მიერ გამოძახებული სასწრაფო მოვიდოდა.

6. იმავე ღამეს 1:35 საათზე თბილისის პროკურატურაში პოლიციის თანამშრომლის, ვ.ა.- ს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით – მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ღამის 2:30-3:35 საათებში თბილისის პროკურატურის გამომძიებლებმა დანაშაულის ადგილი დაათვალიერეს. როგორც სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ირკვევა, დანაშაულის ადგილზე არავითარი იარაღი არ აღმოუჩენიათ.

7. ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და მცხეთა–მთიანეთის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა დაიწყო

მეორე გამოძიება მომხდარი ფაქტის შესახებ. ეს გამოძიება მიმდინარეობდა გარდაცვლილი ბატონი გამცემლიძის წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად - იარაღის უკანონო შენახვა და ტარება. მეორე გამოძიების ფარგლებში ზემოთ აღნიშნული საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებლებმა დანაშაულის ადგილზე ხელახალი დათვალიერება განახორციელეს ღამის 2:40 და 4:20 საათებს შორის. სხვა აღწერილობებს შორის, გამომძიებლები აცხადებდნენ, რომ ავტოფარეხის სახურავზე (იხ. მე-5 პარაგრაფი ზემოთ) იარაღი აღმოაჩინეს.

8. 2008 წლის 9 მაისს სისხლის სამართლის ორი საქმე, რომლებიც ცალ–ცალკე იყო ინიცირებული თბილისის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, გაერთიანდა. სამინისტრომ პროკურატურას გადასცა მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც ეხებოდა ბ–ნი გამცემლიძის სავარაუდო დანაშაულს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით. შემდეგ პროკურატურამ ვ.ა.–ს ბრალის კვალიფიკაცია (იხ. მე-6 პარაგრაფი ზემოთ) შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 166–ე მუხლით - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

9. თბილისის პროკურატურისთვის 2008 წლის 8 მაისს მიცემულ ჩვენებაში ვ.ა–მ, რომელიც იმ დროს ეჭვმიტანილად ითვლებოდა, განაცხადა, რომ იგი ბ–ნ გამცემლიძეს მას შემდეგ დაედევნა, როდესაც მან მანქანის ფარები ჩააქრო, საშტატო იარაღი ამოიღო და დატენა. მან აღნიშნა, რომ არ შეუნიშნავს რაიმე იარაღის მსგავსი ეჭვმიტანილის ხელში, არც რაიმე სიტყვიერი გაფრთხილებით მიუმართავს მისთვის ფეხით დევნის დროს. პოლიციის თანამშრომელმა განაცხადა, რომ მან შემთხვევით გაისროლა თავისი იარაღიდან როდესაც ბ–ნ გამცემლიძეს ზემოთ აღნიშნულ სახლის ეზოში დაეწია და ჩხუბი დაიწყეს იმავე ეზოში.

10. 2008 წლის 8 მაისს მოწმის სახით დაკითხვისას ლ.ჯ–მ ძირითადად დაადასტურა ვ.ა–ს მიერ მიცემული ჩვენების მოვლენათა ვერსია. ამრიგად, ლ.ჯ–მ განაცხადა, რომ მას არ შეუნიშნავს რაიმე იარაღის მსგავსი გიორგი გამცემლიძის ხელში ფეხით დევნის დროს. მან და მისმა მეწყვილე თანამშრომელმა უბრალოდ იფიქრეს, რომ რადგან ახალგაზრდა კაცი მათგან გაქცევას შეეცადა, ეს უკვე საეჭვო იყო და ნიშნავდა რომ ამ პირს შეიძლებოდა უკანონო ნივთი ჰქონოდა.

11. იარაღს, რომელიც ავტოფარეხის სახურავზე იპოვეს დანაშაულის დადგენის შემოწმებები ჩაუტარდა (დაქტილოსკოპია და

სხვა) წინასწარი გამოძიების დროს. თუმცა, არც ერთი შემოწმებით არ დადგინდა, რომ ეს იარაღი გიორგი გამცემლიძეს ხელში ეჭირა ან იგი მას თან ჰქონდა ინციდენტის ღამეს.

12. ო.ტ., იმ ქუჩის მაცხოვრებელი, სადაც ბ–ნ გამცემლიძეს პოლიცია დაედევნა და მოკლა, ამ ინციდენტის ერთადერთი დამოუკიდებელი თვითმხილველი იყო. თბილისის პროკურატურაში პირველი დაკითხვის დროს 2008 წლის 8 მაისს მან განაცხადა, რომ ჯერ მანქანის დაჯახების ხმა გაიგონა, რასაც იარაღის გასროლის ხმა მოჰყვა, ავტოფარეხის სახურავზე ვიღაცის სირბილის და ბოლოს რაღაცის/ვიღაცის მიწაზე დავარდნის ხმა. მაშინ ის საწოლიდან ადგა, რომ აივნიდან ეზოში გაეხედა და დაინახა მიწაზე დავარდნილი ახალგაზრდა კაცი ავტოფარეხთან ახლოს, ავტოფარეხის სახურავზე კი რამდენიმე საპატრულო პოლიციის თანამშრომელი იდგა. გამომძიებლის კითხვებზე პასუხის გაცემისას, ო.ტ.–მ განაცხადა, რომ მას არ გაუგონია, რომ ვინმეს ებრძანებინოს იარაღის დაგდება, ან სირბილის შეწყვეტა და არ დაუნახავს რაიმე იარაღი ან სხვა საგანი ავტოფარეხის სახურავზე. 2008 წლის 5 დეკემბერს სასამართლოზე დაკითხვისას ო.ტ.–მ დაამატა, რომ მან დაინახა და გაიგონა, როგორ დააგდეს პოლიციის გარკვეულმა თანამშრომლებმა იარაღი ავტოფარეხის სახურავზე, როდესაც ახალგაზრდა კაცის გვამი სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა. მან ასევე განაცხადა, რომ პროკურატურიდან გარკვეული ადამიანები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისთვის სასამართლოში ჩვენების მიცემაში.

13. 2009 წლის 16 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ.ა. დამნაშავედ ცნო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 116–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის), და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გამოსაცდელი ვადა დაუდგინდა. მსჯავრდებულს ასევე დაეკისრა 41,500 ლარის (20,000 ევრო) გადახდა პირველი მომჩივანისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

14. შემდეგ პირველმა მომჩივანმა გაასაჩივრა 2009 წლის 16 იანვრის განაჩენი გამოძიებაში არსებული რიგი ნაკლოვანებების საბაბით, რომელთაგან ზოგიერთი პირველად მის მიერ პროკურატურაში წინასწარი გამოძიების ეტაპზე იყო გაჟღერებული. ამრიგად, მან განაცხადა, რომ (i) გამოძიებამ ვერ დაადგინა, ვის ეკუთვნოდა სინამდვილეში იარაღი, რომელიც საქმის თანახმად ავტოფარეხის სახურავზე აღმოაჩინეს და იყო თუ არა ის პოლიციელების მიერ

დადებული; (ii) პროკურატურამ და სასამართლომ სათანადო ყურადღებით არ განიხილეს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა თავისი საშტატო იარაღი მისი ვაჟის წინააღმდეგ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა, რითაც შესაბამისი სამართლებრივი ნორმები დაარღვია; (iii) სათანადოდ არ განხილულა ის ფაქტი, რომ დანაშაულის ადგილზე წინასაგამოძიებო ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაატარეს; (iv) ინციდენტის თვითმხილველის ო.ტ.-ს მტკიცებები თვითნებურად იქნა იგნორირებული უფლებამოსილი პირების მიერ.

15. 2009 წლის 11 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაზარალებულის საჩივარი არ დააკმაყოფილა და დატოვა ძალაში სრულად 2009 წლის 16 იანვრის განაჩენი. 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით, რომელიც მომჩივანს 2009 წლის 11 ივლისს წარედგინა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივნის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი და საბოლოოდ შეწყდა საქმის წარმოება.

პრეტენზიები

16. კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით მომჩივნები ასაჩივრებდნენ, რომ გიორგი გამცემლიძე საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ძალის გადამეტების შედეგად იქნა მოკლული და რომ გამოძიება არაეფექტური იყო. საჩივრის პროცედურული ნაწილი განმეორდა კონვენციის მე–13 მუხლთან მიმართებით. კონვენციის მე–6§1 მუხლის საფუძველზე მომჩივნები აცხადებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლის ვ.ა.–ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არასამართლიანად წარიმართა და გაუმართლებლად მსუბუქი სასჯელი შეეფარდა.

სამართალი

A. რაც შეეხება პრეტენზიებს კონვენციის მე–2 მუხლთან დაკავშირებით

17. 2013 წლის 11 მარტს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ.

18. მორიგების მცდელობის წარუმატებლობის შემდეგ 2013 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდათ ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება იმ საკითხის გადაწყვეტის მიზნით, რომელიც საჩივრის აღნიშნულ ნაწილში იყო ასახული. ისინი ასევე ითხოვდნენ განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამოღებას კონვენციის 37–ე მუხლის შესაბამისად.

19. დეკლარაცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

"საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა დანანებით აღიარებს კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევას;

მთავრობა აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომლის მიერ ძალის გამოყენება ბატონი გამცემლიძის წინააღმდეგ არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ხ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის. ამასთან დაკავშირებით მთავრობა აცხადებს, რომ 2009 წლის 16 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ პოლიციის თანამშრომელი დამნაშავედ ცნო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გამოსაცდელი ვადა დაუდგინდა. გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა დაზარალებულების სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს ასევე დაეკისრა 41,000 ლარის გადახდა პირველი მომჩივანისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

ბატონი გიორგი გამცემლიძის მიმართ ძალის გადამეტების ფაქტზე ეფექტური გამოძიების არარსებობასთან დაკავშირებით, მთავრობას მიაჩნია, ის ფაქტი, რომ უფლებამოსილმა პირებმა საკმარისად ვერ უზრუნველყვეს დაზარალებულის გამოძიებაში მონაწილეობა, ასევე მოწმის ბ–ნი ო.ტ–ს ჩვენების გადამოწმებისა და სათანადოდ განხილვის არარსებობა, შეუთავსებელია ეფექტური გამოძიების პროცედურულ ვალდებულებასთან კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე;

ამ დეკლარაციის ფარგლებში ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად, მთავრობა მზად არის:

- ჩაატაროს ხელახალი გამოძიება ბატონი გიორგი გამცემლიძის მიმართ პოლიციის თანამშრომლის მიერ ძალის გადამეტების ფაქტზე;

- უზრუნველყოს მომჩივნების მონაწილეობა გამოძიების პროცესში, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებით;

- გადაიხადოს 20,000 (ოცი ათასი) ევრო, ნებისმიერი მატერიალური და მორალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება

გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულება წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას."

20. 2013 წლის 23 ოქტომბრის წერილით მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათთვის არ იყო მისაღები ცალმხრივი დეკლარაციის პირობები იმის საფუძველზე, რომ მთავრობამ არ აღიარა კონკრეტულად, რომ ბ–ნი გამცემლიძის მკვლელობის გამოძიებას აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცესის ადრეულ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობის გამო; ეს ასპექტი, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც შესაბამის შიდა სამართალს, ასევე კონვენციის მე–2 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ პრინციპებს, რაც მათი საჩივრის საფუძველს წარმოადგენს. მომჩივნებმა ასევე არაადეკვატურად მიიჩნიეს კომპენსაციის სახით შეთავაზებული თანხა.

21. სასამართლო შენიშნავს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, მას შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუკი გარემოებები მიიყვანს მას ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებით დადგენილ ერთ-ერთ დასკვნამდე. 37-ე (§1 „c") მუხლი საშუალებას აძლევს სასამართლოს, ამორიცხოს საჩივარი, თუ

"სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზის გამო გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება".

22. იგი ასევე მიუთითებს, რომ გარკვეულ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამორიცხვა მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე 37 § 1 (c) მუხლის შესაბამისად, მაშინაც კი თუ მომჩივანებს საქმის განხილვის გაგრძელება სურთ. ამ მიზნით სასამართლო ყურადღებით განიხილავს დეკლარაციას პრეცედენტული სამართლის პრინციპების კუთხით, კერძოდ *Tashin Acar-ის* გადაწყვეტილება *((Tahsin Acar v. Turkey (preliminary issue) [GC], no. 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI; WAZA Spółka z o.o. v. Poland (dec.) no. 11602/02, 26 June 2007; და Sulwińska v. Poland (dec.) no. 28953/03).*

23. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან რიგ საქმეებში განსაზღვრა ბუნება და მასშტაბი იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშვება მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ კონვენციის მე–2 მუხლით გარანტირებული ადამიანის სიცოცხლის უფლების პატივისცემასთან

დაკავშირებით (იხ. მაგალითად, *Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 and 43579/98, §§ 93-97, ECHR 2005-VII, McCann and Others v. the United Kingdom, 27 September 1995, § 150, Series A no. 324, და ასევე Makaratzis v. Greece [GC], no. 50385/99, §§ 56-59, ECHR 2004-XI*). აქედან გამომდინარე ის იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური მახასიათებელი, ყოველთვის ითვალისწინებს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როცა პირები მოკლული არიან ძალის გამოყენების შედეგად, *მათ შორის* სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ (იხ. სხვებს შორის, *ენუქიძე და გირგვლიანი,* no. 25091/07, §§ 241-243, 2011 წლის 26 აპრილი).

24. მთავრობის დეკლარაციის პირობების განხილვის შედეგად, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ჩაატაროს ეფექტური გამოძიება სიცოცხლის მოსპობის შემცველ ინციდენტში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ვალდებულება საკმარისად ფართო უნდა იყოს, რათა მოიცვას ეფექტური გამოძიების ყველა საჭირო ასპექტი, მათ შორის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გამოძიებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ მომჩივნებისთვის ერთობლივად შეთავაზებული კომპენსაციის თანხა ადეკვატურია კონკრეტული საქმის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე.

25. ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება (37§1 (c) მუხლი). გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციაში და მის ოქმებში განსაზღვრული ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის საფუძველზე აღარ არსებობს რაიმე მიზეზი, რომელიც გაამართლებდა საჩივრის განხილვის გაგრძელებას. (მუხლი 37 § 1).

26. და ბოლოს, სასამართლო აცხადებს, რომ თუ მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, საჩივარი აღდგება განსახილველ საქმეთა სიაში კონვენციის მუხლი 37 § 2–ის შესაბამისად (*Josipović v. Serbia* (dec.), no. 18369/07, 4 March 2008).

B. რაც შეეხება საჩივრის დარჩენილ ნაწილს

27. რაც შეეხება მომჩივანთა საჩივრებს კონვენციის მე–6§1 და მე–13 მუხლებთან დაკავშირებით, სასამართლომ მის ხელთ არსებული

მტკიცებულებების და იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია ბრალდებების განხილვის იურისდიქცია, ვერ აღმოაჩინა კონვენციით ან მისი ოქმებით გარანტირებული ადამიანის უფლებების და თავისუფლების დარღვევის რაიმე ნიშნები. ამრიგად, საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35 მუხლის §§ 3 და 4 შესაბამისად.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად

გაითვალისწინა მოპასუხე მთავრობის დეკლარაციის პირობები კონვენციის მე–2 მუხლთან დაკავშირებით და მათში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მეთოდები, და

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის მე–2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის ნაწილი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს, კონვენციის 37 § 1 (c) მუხლის შესაბამისად;

საჩივრის დანარჩენ ნაწილს დაუშვებლად აცხადებს.

ფატოს არაკი
სექციის განმწესრიგებელი
მოადგილე

ინეტა ზიემელე,
თავმჯდომარე

დანართი

1. ქ–ნი გულნარა გამცემლიძე (“პირველი მომჩივანი“), დაბადებული 13/05/1952.

2. ქ–ნი სალომე შონია (“მეორე მომჩივანი“), დაბადებული 18/08/1983.

3. ქ–ნი მარინა გამცემლიძე (“მესამე მომჩივანი”) დაბადებული 19/10/1997.

4. ქ–ნი ლიზა გამცემლიძე (“მეოთხე მომჩივანი”) დაბადებული 03/02/2002.

5. ბ–ნი საბა გამცემლიძე (“მეხუთე მომჩივანი”) დაბადებული 17/10/2005.